სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/163

ქ. თბილისი 8 ნოემბერი 2021 წ.

სტუ-ის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის სტატუსის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის და აკადემიური საბჭოს 2021 წლის 8 ნოემბრის №01-05-02/31 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს დებულება „სტუ-ის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის სტატუსის შესახებ“ და ჩამოყალიბდეს ამ დადგენილების დანართის შესაბამისად.
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**

დანართი

დებულება

სტუ-ის საგანმანათლებლო პროგრამის

ხელმძღვანელის სტატუსის შესახებ

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში – უნივერსიტეტი) დოქტორანტურის, მაგისტრატურის, ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში – პროგრამა) ხელმძღვანელი არის პროგრამის შინაარსზე, ხარისხზე, განხორციელებასა და განვითარებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც:

- უძღვება პროგრამის შემუშავებისა და მისი განვითარების პროცესებს;
- უზრუნველყოფს პროგრამის შესაბამისობას ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან;
- უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების (საგნების) შესაბამისობას პროგრამის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან;
- მონაწილეობს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (სათანადოდ აღჭურვილი სასწავლო ლაბორატორიები, სალექციო აუდიტორიები, სახელმძღვანელოები და ა.შ.) და პროგრამის (ან მისი რომელიმე კომპონენტის) ურთიერთშესაბამისობის შეფასებაში;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პროფესიული ასოციაციების (არსებობის შემთხვევაში) და სხვა დაინტერესებული პირების მონაწილეობით სისტემატურად განიხილავს პროგრამის განხორციელების პრობლემებს, მიღწეულ შედეგებს და დარგის მოთხოვნათა შესაბამისად პროგრამის განვითარების გზებს;
- შიდა და გარე შემფასებლებს წარუდგენს პროგრამის დოკუმენტაციას, მათ შორის, პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებულ ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას;
- კომპეტენციის ფარგლებში წარმართავს პროგრამის დაგეგმვა/შემუშავება/განხორციელება/ განვითარებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს;
- პროგრამის გაუქმების შემთხვევაში სრულყოფილ დოკუმენტაციას გადასცემს ფაკულტეტის არქივს, კომისიურად, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონაწილეობითა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით;
- ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციით, სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქციით, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის დებულებებით, სტუ-ში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესით, შესაბამისი ფაკულტეტის დებულებით და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ ვალდებულებებს.

2. პროგრამის ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს პროგრამის შემუშავებისათვის/განვითარე-ბისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, მისი კვალიფიკაცია უნდა დასტურდებოდეს სფეროს შესაბამისი განათლებით, პრაქტიკული გამოცდილებით და/ან სამეცნიერო საქმიანობით;

3. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს გამოქვეყნებული მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამის სფეროში სამეცნიერო ნაშრომები ბოლო 5 წლის განმავლობაში.

4. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, შეიძლება იყოს პროგრამის შესაბამისი კვალიფიკაციის/მიმართულების/დარგის დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. თანახელმძღვანლი შეიძლება იყოს პროგრამის შესაბამისი კვალიფიკაციის/მიმართულების/დარგის დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე სხვა, უნივერსიტეტთან შრომით ურთიერთობაში მყოფი პირი (მათ შორის, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი ან უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი და ა.შ.).

5. პროგრამის ხელმძღვანელი უნდა მონაწილეობდეს პროგრამის შეფასება-განვითარებაში, ჩართული უნდა იყოს პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტების კონსულტირებაში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში.

6. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს შემუშავებული უნდა ჰქონდეს პროგრამის განვითარების სტრატეგია და განხორციელების სამოქმედო გეგმა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს:

   ა) სტუდენტების მოზიდვის მექანიზმს;

   ბ) ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებას;

   გ) საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო კურსის პროგრამების (სილაბუსი) განვითარების და ობიექტურ ცვლილებებთან სწრაფად ადაპტირების შესაძლებლობებს (მათ შორის ლიტერატურის განახლება, მეთოდოლოგიისა და მეთოდების გამრავალფეროვნება, განმავითარებელი აქტივობებით მხარდაჭერა და სხვა);

   დ) აკადემიური მოსწრების ანალიზს და გაუმჯობესების მექანიზმებს;

   ე) პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური კაპიტალის ახალგაზრდა, პერსპექტიული კადრებით შევსებისა და მათი უნივერსიტეტში დამაგრების მექანიზმებს;

   ვ) პროგრამის განმახორციელებელი წამყვანი პერსონალის გადინების პრევენციულ ღონისძიებებს;

   ზ) პროგრამის განვითარებაში დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების, პროფესიული ასოციაციების, დარგის სპეციალისტებისა და აღიარებული პარტნიორი კოლეგების ჩართულობის გაზრდის მექანიზმებს;

   თ) კურსდამთავრებულების დასაქმების ხელშეწყობის ხედვას;

   ი) საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური მდგრადობის კონცეფციას;

   კ) საქართველოს მასშტაბით, კონკურენტ საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებაში მოთხოვნადობისა და უპირატესობების შენარჩუნების სტრატეგიას;

   ლ) პროგრამის სტატუსის, წარმატების, განხორციელების და ყველა მნიშვნელოვანი მაჩვენებლის სამიზნე ნიშნულების ამსახველ პროექტს.

7. პროგრამის ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელს, შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებისა და დეკანის წარდგინების საფუძველზე, უნივერსიტეტის ხარისხის

უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღანელის რეკომენდაციის გათვალისწინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო. ახალი პროგრამის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამისა და მისი ხელმძღვანელის დამტკიცების პროცედურები ხორციელდება ერთდროულად.

8. პროგრამის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის საბჭოსა და აკადემიური საბჭოს წინაშე.

9. პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია ყოველი სასწავლო წლის ბოლოს წარმოადგინოს თვითშეფასების ანგარიში, წინასწარ დადგენილი ფორმის შესაბამისად. თვითშეფასების ანგარიშის წარმოდგენა არ მოითხოვება აკრედიტაციის მიღებიდან 10 თვის განმავლობაში.

10. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს უპირატესი პასუხისმგებლობა პროგრამაში გაუმართლებელი ხარვეზის არსებობის შემთხვევაზე, რამაც გამოიწვია უარყოფითი გარე შეფასება ან/და რისკის წინაშე დააყენა პროგრამის აკრედიტაციის საკითხი. ამასთან, პროგრამისათვის აკრედიტაციის გაუქმება ავტომატურად იწვევს ამ პროგრამის ხელმძღვანელის სტატუსის შეწყვეტას.

11. ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული აკრედიტაციის მქონე პროგრამის (მხოლოდ ერთის) ხელმძღვანელს აღნიშნული საქმიანობა შეიძლება ჩაეთვალოს აკადემიური დატვირთვის კომპონენტად კვირაში 2 საათის ოდენობით.

12. პროგრამის ხელმძღვანელისთვის მე-11 პუნქტით განსაზღვრული შეღავათის გაწევის შეჩერების საფუძველია:

    ა) მე-9 პუნქტით გათვალისწინებული პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის განხილვისას უარყოფითი შეფასების მიღება;

    ბ) მე-9 პუნქტით გათვალისწინებული პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის წარუდგენლობა;

    გ) პირისთვის პროგრამის ხელმძღვანელის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა.

13. პირი შეიძლება იყოს ერთზე მეტი იმავე მიმართულების სწავლების სხვა საფეხურის პროგრამის ხელმძღვანელი, ასევე იგივე საფეხურის და დასახელების უცხოენოვანი პროგრამის ხელმძღვანელი.